



**შეხვედრის აღწერა:** კითხვა-პასუხის სესია

**თარიღი/დრო:** 15.05.2020 13:00

**მონაწილეები:** GCSD – გოგიტა ღვედაშვილი, ქეთევან იმერლიშვილი, ანი შველიძე,  
საგრანტო კონკურსით დაინტერესებული პირები

1. განხილული საკითხები: საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვები
2. კითხვა (Q) - პასუხი (A):

**Q:** ჩვენი ორგანიზაცია დარეგისტრირებულია 2018 წლის აპრილს. შეასბამისად ამჟამად ჩვენი ოპერირების მესამე წელიწადია. განიხილება თუ არა საგრანტო განაცხადი იმ შემთხვევაში თუ არ არის გასული დარეგისტრირებიდან სრული სამი წელი?

**A:** თუ ორგანიზაციის დარეგისტრირებიდან სრულად არ არის გასული 3 წელი, ორგანიზაციას კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.

**Q:** უფრო დეტალურად, რა არის კონკურსის პრიორიტეტები და რომელ მიზნობრივ ჯგუფებს ენიჭება უპირატესობას?

**A:** კონკურსის პრიორიტეტული საკითხებისა და სამიზნე ჯგუფების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია საკონკურსო განაცხადის აღწერაში. ამ მიმართულებებით რაიმე დამატებითი პირობები და კრიტერიუმები განსაზღვრული არ არის.

**Q:** თუ არის შესაძლებელი კოალიციური პროექტების შემოტანა?



A: დიახ, კოალიციური პროექტების შემოტანა შესაძლებელია და პრიორიტეტულიც.

Q: არის თუ არა პრიორიტეტული რეგიონი, რომელიც ამ გრანტმა უნდა დაფაროს? მიენიჭება თუ არა უპირატესობა იმ პროექტებს, რომელიც რამდენიმე რეგიონს ფარავს?

A: პრიორიტეტულ რეგიონებად შეგვიძლია განვიხილოთ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროექტი არ შეიძლება სხვა რეგიონ(ებ)ზე იყოს. რამდენიმე რეგიონის დაფარვა იქნება პროექტის დამატებითი ღირებულება.

Q: ჩვენმა ორგანიზაციამ ახლახან წარმატებით დაასრულა პროექტი ამ მიმართულებით. რამდენად არის შესაძლებელი, რომ საგრანტო კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილი იქნეს უკვე განხორციელებული პროექტის გაგრძელება ან იგივე პროექტი განხორციელდეს სხვა რეგიონში, თუ სასურველია, რომ ეს იყოს ახალი იდეა?

A: მსგავსი პრაქტიკა დასაშვებია და შესაძლებელია განხორციელდეს იმავე ან სხვა რეგიონში. თუმცა, აუცილებელია, რომ პროექტი ეხმიანებოდეს კონკურსის მიზნებს და ამოცანებს.

Q: შესაძლებელია თუ არა, პროექტის მიმდინარეობისას დამატებითი დონორების/პარტნიორების მოძიება პროექტის აქტივობების გასამრავალფეროვნებად?

A: თანადაფინანსების მოპოვება შესაძლებელია, თუმცა, სავალდებულო არ არის.

Q: რამდენად პრიორიტეტულია, დედაქალაქში რეგისტრირებული ადგილობრივი ორგანიზაცია, თუ ითანამშრომლებს ავტორიზებული უმაღლესი სასწავლების სტუდენტურ გაერთიანებებთან (ეთნიკური, რელიგიური უმცირესობები) და უნივერსიტეტთან?



A: პროექტში პრიორიტეტად გასაზღვრულია რეგიონული ორგანიზაციები, თუმცა შესაძლებელია დედაქალაქისა და რეგიონულ ორგანიზაციების თანამშრომლობით ჩამოყალიბდეს კონსორციუმი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სასწავლებლებთან თანამშრომლობა არის პრიორიტეტული, მაგრამ არა სავალდებულო.

Q: პროექტის შერჩევას ექნება თუ არა გავლენა, რომ ორგანიზაციას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს გახორციელებული რამდენიმე დაბალბიუჯეტის პროექტი?

A: განხორციელებული პროექტების ბიუჯეტის ოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება.

Q: რამდენად მისაღებია მოცემული გრანტის ფარგლებში კამპანიის წარმოება, რომელშიც ჩართული იქნება სოციალური მედია?

A: მისაღებია.

Q: ხელზე გვაქვს მხოლოდ 2016 წლის აუდიტორული დასკვნა, თუ იქნება ეს რელევანტური საბუთებისთვის?

A: აუდიტის დასკვნა სავალდებულო არ არის. მაგრამ, ამ დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, კარგი იქნება თუ გაგვიზიარებთ.

Q: თუ შეიძლება სხვა ქვეყნიდან სპეციალისტების/ლექტორების პროექტში ჩართვა?

A: პროექტში უცხო ქვეყნიდან მოწვეული ექსპერტების/ლექტორების ჩართვა შესაძლებელია.

Q: შესაძლებელია თუ არა პროექტში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობა?

A: შესაძლებელია.



**Q:** რა სახით უნდა იყოს წარდგენილი პარტნიორობა ავტორიზებულ უნივერსიტეტთან/სასწავლებელთან? (მემორანდუმი, თანხმობის წერილი, სხვა)

**A:** ამ შემთხვევაში, თანხმობის წერილი და პარტნიორობის შესახებ წერილი დამაკმაყოფილებელია.

**Q:** საგრატო კონკურსის ფარგლებში მხოლოდ ერთი ქვე-გრანტი გაიცემა?

**A:** აღნიშნული კონკურსის ფარგლებში გაიცემა მხოლოდ ერთი გრანტი, რომლის მაქსიმალური ბიუჯეტი შეიძლება შეადგენდეს 100 000 ლარს. განიხილება უფრო დაბალბიუჯეტის პროექტებიც, თუმცა 60 000 ლარზე ქვემოთ პროექტები რეკომენდირებული არ არის.

**Q:** როგორ განისაზღვრება რეგიონული ორგანიზაცია? რეგიონში რეგისტრირებული, თუ რეგიონში მოქმედი?

**A:** აუცილებელია ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდეს რეგიონში/რეგიონებში. რეგისტრაცია აუცილებელი არ არის.

**Q:** შეუძლია თუ არა თბილისში რეგისტრირებულ ორგანიზაციას რეგიონში განახორციელოს პროექტი?

**A:** თბილისში რეგისტრირებულ ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს პროექტი რეგიონში. სასურველია დედაქალაქში რეგისტრირებულ ორგანიზაციას ჰყავდეს რეგიონული პარტნიორი, რომელთან ერთადაც იმუშავებს პროექტზე.

**Q:** რამდენად არის შესაძლებელი, რომ წინა გამოცდილება ავსახოთ სრულყოფილად?

**A:** ორგანიზაციის გამოცდილებისა და განხორციელებული პროექტების ასახვა შესაძლებელია მხოლოდ განაცხადის ფორმაში არსებულ სხვადასხვა ველში.

**Q:** რა არის პროექტის დაწყების სავარაუდო პერიოდი?



**A:** პროექტის დაწყების საორიენტაციო პერიოდია 2020 წლის სექტემბერი. პასუხები, სავარაუდოდ, ცნობილი იქნება ივნისის ბოლოს.

**Q:** COVID-19 ვირუსით გამოწვეული გარემოები უნდა იყოს თუ არა ასახული პროექტის რისკებში?

**A:** იმ შემთხვევაში, თუ არსებული ვითარება დაბრკოლებას უქმნის პროექტის რომელიმე აქტივობის განხორციელებას, რისკების შეფასების დროს, სასურველია გაითვალისწინოთ აღნიშნული საკითხი.

**Q:** იმ შემთხვევაში, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს გაცვლით პროექტებზე ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, რამდენად მისაღებია ასეთი ტიპის ორგანიზაციის მიერ ინიცირებული პროექტი?

**A:** როგორც შეფასების კრიტერიუმებშია აღნიშნული, ორგანიზაციის გამოცდილებას ყურადღება მიექცევა. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება, რომ შემოთავაზებული პროექტი არ სცდებოდეს ორგანიზაციის სამუშაო სფეროს და ამვდროულად შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებსა და ამოცანებს.

**Q:** ბიუჯეტთან დაკავშირები რა კონკრეტული შეზღუდვები არსებობს?

**A:** როგორც განაცხადის ფორმაშია აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ ისეთი ნივთების შეძენა, რომელთა მიზნობრიობა შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს და არის დასაბუთებული.

ასევე, ბიუჯეტის ნაწილში არსებობს **არაპირდაპირი ხარჯების (5%)** კომპონენტი. აღნიშნული 5% შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთ ხარჯებზე როგორებიცაა, სწავლების, ორგანიზაციის თანამშრომლების განვითარების ხარჯები და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი გაითვალისწინებს მსგავს ხარჯს, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი მიზნობრივობის დასაბუთება.

**Q:** შეუძლია თუ არა კერძო პირს საგრანტო კონკურსზე განაცხადის შემოტანა?



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



**A:** აღნიშნულ პროექტში კერძო პირებს განაცხადის შემოტანა არ შეუძლიათ.

**Q:** პროექტის წარმდგენი (აპლიკანტი) შესაძლებელია თუ არა იყოს უნივერსიტეტი?

**A:** შესაძლებელია.